ავტორიტარიზმის გავლენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ თავისუფლებაზე

მარიამ ბიბილური

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

“როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბიბილური

22 ივნისი, 2025 წელი.“

აბსტრაქტი

ნაშრომი მკითხველს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი სახელმწიფო მმართველების ნაბიჯებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური თავისუფლების შესაზღუდად. კვლევის ფარგლებში ხაზგასმულია, რომ მსოფლიოს მასშტაბით თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის წინსვლა და პროგრესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აკადემიური თავისუფლების ხარისხზე.

კერძოდ, ნაშრომი მოიცავს როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს, ასევე არაწევრი ქვეყნების საკანონმდებლო სივრცისა და აღმასრულებელი მექანიზმების დეტალურ მიმოხილვას და შედარებით-სამართლებრივ ანალიზს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური თავისუფლების რეგულირების ნაწილში. ნაშრომში წარმოჩენილია იმგვარი შემთხვევები, როდესაც დემოკრატიული თავისუფლების ნაკლოვანება ავტომატურად იწვევს სახელმწიფოს მხრიდან აკადემიური თავისუფლების არალეგიტიმურ შეზღუდვას. შესაბამისად, ავტორიტარულ რეჟიმებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ხდება სრულიად დაუცველი პოლიტიკური თავდასხმისგან, ხოლო სახელმწიფოს კონტროლისა და ზეწოლის ფარგლებში, განათლების მიღება უფრო მეტად ატარებს მოჩვენებით ხასიათს.

ნაშრომის ფარგლებში ასევე გამოკვეთილია, რომ აკადემიური თავისუფლების ცნება ეფუძნება ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორთა ერთობლიობას, იცვლება დროისა და ადგილის მიხედვით, შესაბამისად, დღესდღეობით ბევრად უფრო კომპლექსური და აქტუალურია, ვიდრე ოდესმე.

განხილული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ განათლების უფლება თავისი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფო რეგულირებას, თუმცა, ამავდროულად, სასარგებლო შემოქმედებითი პროდუქტი მხოლოდ იმგვარ გარემოში იქმნება, რომელიც თავისუფალია სახელმწიფოს მხრიდან არალეგიტიმური ჩარევისგან. ეს უკანასკნელი კი სრულებით დათრგუნულია იმ სახელმწიფოებში, რომლებიც განიცდიან ავტორიტარიზმის ორ გიგანტის- რუსეთისა და ჩინეთის მზარდ ზეგავლენას.

<u>საკვანძო სიტყვები:</u> აკადემიური თავისუფლება; აკადემიური პერსონალი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; განათლების უფლება; ავტოკრატია; ინსტიტუციური ავტონომია.

Abstract

This paper provides readers with an opportunity to examine the measures undertaken by state authorities inclined toward authoritarianism to restrict academic freedom within higher education institutions. The research underscores that, on a global scale, the advancement and progress of contemporary higher education activities are significantly contingent upon the degree of academic freedom afforded.

Specifically, the paper encompasses a detailed review and comparative legal analysis of both the legislative frameworks and executive mechanisms of European Union member states and non-member countries. This analysis highlights instances where deficiencies in democratic liberties directly result in the illegitimate restriction of academic freedom. In authoritarian regimes, higher education institutions become entirely vulnerable to political interference and attack; consequently, under the scope of state control and pressure, the process of education assumes a largely superficial character.

The study further elucidates that academic freedom is rooted in a diverse array of historical, cultural, and political factors; it evolves according to temporal and geographical context, and is therefore more complex and relevant today than ever before.

The practices discussed demonstrate that, by its very nature, the right to education necessitates a certain degree of state regulation. However, on the other hand, a genuinely beneficial educational environment can only be cultivated in circumstances free from excessive state intervention. Such interference is entirely suppressed in those countries that are experiencing the growing influence of the two giants of authoritarianism—Russia and China.

<u>Keywords:</u> Academic freedom; academic staff; higher education institution; right to education; autocracy; institutional autonomy.